ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7451817

ნომერი: AR11082709

თარიღი : 18.03.2025

გაცემის თარიღი : 17.04.2025

გაცნობის თარიღი : 30.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 76;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა კანდელაკიშვილი პ/ნ 40001006991
- გურამიშვილის 76

ორგანიზაცია:
- ევროპის უნივერსიტეტი კოდი: 201954956

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 18 მარტს №AR11082709 განცხადებით მომართა ლაშა კანდელაკიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებით შეთანხმდა, №01.12.01.004.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უმაღლესი სასწავლებლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე 226.95 კვ.მ. ფართობის დამატებას. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასწავლო აუდიტორიის ფართობად 1500.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1368.37 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1000.0 კვ.მ-ის ნაცვლად 760.45 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 432.4 კვ.მ-ის ნაცვლად 425.9 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 2932.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2781.67 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება უბრალოდ ხდება აღნიშნული ნიშნულების წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი დამხმარე 226.95 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასწავლო აუდიტორიის ფართობად დაფიქსირდეს 1368.37 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 760.45 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 425.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 2781.67 კვ.მ.
2. სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გვ. 12-17) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6827968 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.